



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 1
28/11/2017

1-06-4-201711281853



განკარგულება №1
2017 წლის 27 ნოემბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი
სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 44-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ახლადარჩეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხების უზრუნველყოფისა და საკრებულოს ფრაქციათა შექმნის შესახებ წინადადებების (დასკვნების) განხილვისა და მომზადების მიზნით არჩეულ იქნეს დროებითი სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე: ლალი სიჭინავა;
2. მდივანი: გენო ჩავლეშვილი;
3. კომისიის წევრები: ვახტანგ ნიჟარაძე;

მუხლი 2. დროებითი სამანდატო კომისია უფლებამოსილია მუდმივმოქმედი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის არჩევამდე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 27 ნოემბრიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო